

## ეკომიგრანტი ოჯახების უსაფრთხო გარემოში განსახლება

პროგრამის ფარგლებში სტიქიური მოვლენების - მეწყერის, ღვარცოფის, კლდეზვავის, ქვათაცვენის, მდინარეების ნაპირების გარეცხვის, თოვლის ზვავისა და ჯდენადი გრუნტის შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული ოჯახების განსახლება ხორციელდება.

ეკომიგრანტი ოჯახის განსახლების საკითხი მინისტრის 2013 წლის 13 ნოემბრის N779 ბრძანებით დამტკიცებული კრიტერიუმებისა და პროცედურების შესაბამისად განიხილება.

გადანყვეტილებას „სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული(ეკომიგრანტი) ოჯახების განსახლების საკითხების მარეგულირებელი კომისია იღებს, რომლის მუშაობაშიც სამინისტროსა და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს თანამშრომლების გარდა, სახალხო დამცველის ოფისისა და სხვადასხვა საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები მონაწილეობენ.

დადებითი გადანყვეტილების შემთხვევაში, ოჯახს ერთთვიანი ვადა ეძლევა, რათა შესასყიდად თავისივე შერჩეული საცხოვრებელი ფართი წარმოადგინოს, რომელსაც სამინისტრო, საექსპერტო შეფასებების შემდეგ, 25 000 ლარის ფარგლებში შეუსყიდის.

პროგრამის ფარგლებში, საცხოვრებელი ფართის შესყიდვის მოთხოვნით განაცხადების მიღება უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს.

**\*2020 წლიდან სამინისტრო არ განიხილავს იმ ეკომიგრანტი ოჯახების საკითხს, რომლებსაც სტიქიის შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლი არ ექნებათ რეგისტრირებული სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში.**